

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ინფორმაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 29 280 367,42 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 19 180 964,54 ლარს, ხოლო დარჩენილი 10 099 402,88 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია გათანაბრებითი ტრანსფერი – 6 003 800 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250 000 ლარი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 3 465 820,00 ლარი, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 379 782 ლარს, აქედან 336 244 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დარჩენილი ნაშთი, 36478 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, ხოლო 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან.

რაც შეეხება 2018 წლის 12 თვის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები 12 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 26 388 931,00 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 26 779 170,58 ლარი, რაც გეგმის 101,5 %-ია. შემოსავლები დაგეგმილი იყო 25 473 931,00 ლარით, ფაქტიურად შემოსულია 25 986 694,91 ლარი, რაც გეგმის 102,0%-ია. 2018 წლის 12 თვის ფაქტიური შემოსავლები 15,8 %-ით მეტია 2017 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელთან. 2018 წლის გადასახადების 12 თვის გეგმა არის – 9 064 900,00 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 9 965 037,48 ლარი რაც გეგმის 109,9%-ს შეადგენს, გათანაბრებითი ტრანსფერი ფაქტიურად შემოსულია 12 თვის განმავლობაში 6 003 800,00 ლარი, რაც შეადგენს გეგმის 100,0 %-ს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250 000,00 ლარი– გეგმის 100,0 %-ი, კაპიტალური ტრანსფერი შემოვიდა 3 465 820,00 ლარი, რაც გეგმის 88,5%-ია. სხვა შემოსავლების 2018 წლის 12 თვის გეგმა იყო 6 689 411,00 ლარი, 12 თვის ფაქტმა შეადგინა 6 699 235,43 ლარი, რაც გეგმასთან შედარებით 100,1 %-ია. არაფინანსური აქტივების კლება 12 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 915 000,00 ლარი, ფაქტმა შეადგინა– 792 475,67 ლარი, ანუ გეგმის 86,6 %.

რაც შეეხება 2018 წლის 12 თვის ფაქტიურად გახარჯული თანხების ოდენობას, სულ შეადგენს 21 484 830,97 ლარს ხაზინის ერთიანი სისტემის მიერ დაფიქსირებული რეპორტებით (დანართი №2), ფაქტიურად გადასახდებელმა შეადგინა 21 484 829,17 ლარი, რაც გამოწვეულია ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო, სამუსიკო და სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრი“-ს მიერ უკან მობრუნებული თანხის 1,80 ლარის ხაზინის მიერ არასრულად ასახვის (დაუბალანსებლობის) გამო .

აღნიშნული თანხა ორგანიზაციული ბიუჯეტის მიხედვით გახარჯული იქნა შემდეგნაირად:

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 1 089 816,12 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი ხარჯების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე 635 625,52 ლარი, აქედან თანამდებობრივ სარგოზე–620 566,63 ლარი, ხოლო დანამატზე 15 058,89 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 148 797,30 ლარი. ქვეყნის შიგნით მივლინებებზე - 3 821,00 ლარი, ოფისის ხარჯების მუხლით 15 631,70 ლარიდან ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯებზე გახარჯულია – 5 948,00 ლარი, საოფისე ინვენტარზე – 240,00 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებზე – 9 443,70 ლარი. წარმომადგენლობით ხარჯზე 6 925,00 ლარი. ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებით გახარჯულ 136 602,30 ლარში 123 853,30 ლარი გათვალისწინებულია საწვავ/საპოხი მასალების შეძენაზე, ხოლო 12 749,0 ლარი მიმდინარე რემონტის ხარჯზე. სოციალური უზრუნველყოფის მუხლი– 434,80 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული ხარჯი შეადგენს 657,50 ლარს, სხვა ხარჯების მუხლით 138 943,00 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2 378,00 ლარი გახარჯულია კომპიუტერის შესაძენად.
2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 3 867 239,88 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი ხარჯების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე– 2 597 078,09 ლარი, აქედან თანამდებობრივ სარგოზე – 2 486 723,09 ლარი, ხოლო დანამატზე – 110 355,00 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე – 221 781,65 ლარი, ქვეყნის შიგნით მივლინებებზე - 9 989,0 ლარი, ხოლო ქვეყნის გარეთ მივლინებებზე – 9 516,40 ლარი. ოფისის ხარჯების მუხლით გახარჯული 306 224,93 ლარი გადანაწილდა შემდეგი ხარჯების დასაფარავად: საკანცელარიო საქონელზე – 38 381,89 ლარი, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯებზე – 1800 ლარი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯებზე – 23 805,95 ლარი, საოფისე ინვენტარის შეძენაზე – 22 881,0 ლარი, კომუნალურ ხარჯებზე - 137 554,68 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებზე – 39 990,37 ლარი, საფოსტო მომსახურებაზე – 8 972,34 ლარი ხოლო სხვადასხვა საოფისე ხარჯებზე – 6 261,75 ლარი. წარმომადგენლობით ხარჯზე 48 897,71 ლარი. ტრანსპორტის , ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებით გახარჯულ 269 460,66 ლარში გათვალისწინებულია შემდეგი საქონელი და მომსახურება: ადმინისტრაციული მანქანების საწვავ/საპოხი მასალების შესყიდვა – 188 108,34 ლარი, მიმდინარე რემონტებზე და სათადარიგო ნაწილებზე – 54 808,0 ლარი, ხოლო მანქანის დაქირავება – 26 544,32 ლარი. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული 165 021,71 ლარი შეადგენს შემდეგ მომსახურებას: მუნიციპალიტეტის შენობის დაცვის მომსახურება – 66 540,0 ლარი, მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ჩატარებული საექსპერტო მომსახურებაზე – 12 069,61 ლარი, საარქივო მომსახურებაზე – 8 039,95 ლარი, კადრების მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაზე – 4 600,0 ლარი, რეკლამის – 840,0 ლარი, საკონსულტაციო – 500,0 ლარი, აუდიტორული მომსახურების – 3 310,0 ლარი, ხოლო სხვადასხვა მომსახურებაზე – 66 161,35 ლარი. გრანტის მუხლით – 45 000 ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გახარჯულია 56 786,78 ლარი. სხვა ხარჯების მუხლით გახარჯულია 6 467,18 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გატარებული 131 015,77 ლარიდან ადგილობრივი სახსრები შეადგენს 86 744,77 ლარს, ხოლო კაპიტალური ტრანსფერი – 44 271,00 ლარს, ქ. მარნეულში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობის სამუშაოები,

სულ შენობა-ნაგებობაზე - 73 540,91 ლარი, 27 530,0 ლარით შეძენილია კომპიუტერები, 570,0 ლარი- ტელევიზორი, 2 275 ლარით მობილური ტელეფონები, 8 997,5 ლარით ფოტოაპარატი, 6464,0 ლარით სპორტული საქონელი, 11 638,36 ლარით შეძენილია სხვადასხვა ინვენტარი.

3. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 99 177,27 ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. (დანართი №1 შესაბამისად).
4. წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებებზე გახარჯულია 184 012,00 რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
5. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 102 058,00 ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
6. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხა შეადგენს 100,00 ლარს.
7. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 203 008,89 ლარს, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: შრომის ანაზრაურება - 157 201,45 ლარი, აქედან თანამდებობრივი სარგოზე - 154 451,45 ლარი, ხოლო დანამატი - 2750,0 ლარი. მივლინება ქვეყნის შიგნით - 540,0 ლარი, ოფისის ხარჯებით გაწეულია 17 809,58 ლარი შემდეგი ხარჯების დასაფარავად: ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯებზე- 4075,0 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებზე - 3 240,54 ლარი, კომუნალურებზე - 10 494,04 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებით სულ გახარჯულია 19 890,41 ლარი; აქედან საწვავის შესყიდვაზე - 14 327,39 ლარი, ხოლო ტრანსპორტის დაქირავებაზე - 5 563,02 ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გახარჯულია 7 489,45 ლარი.
8. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 9 530 725,86 ლარი. აქედან:
 - 8.1. გზებისა და ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვაზე გახარჯულია სულ 3 366 882,14 ლარი. აქედან ადგილობრივი სახსრები შეადგენს 2 084 261,14 ლარს, ხოლო კაპიტალური ტრანსფერი - 1282621,00 ლარს. მათ შორის გზების მოვლა-შენახვა და მოხრეშვითი სამუშაოზე გახარჯულია 368 079,53 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გახარჯულია - 2 998 802,61 ლარი. მათ შორის:
 - ✓ 2285.66 ლარი სოფ. თაქალოში შიდა გზების მოასფალტებაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (მ/წლის ხარჯი)
 - ✓ 2852 ლარი სოფ. თამარისში შიდა გზების მოასფალტებაზე საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (მ/წ ხარჯი)
 - ✓ 16 782,01 ლარი მარნეულის მუნიცი. სოფ. ოფრეთში არსებული ისტორიული ხიდის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა მ /წლის ხარჯი.
 - ✓ 156 401,84 ლარი სოფ. ქუთლიარის გზების რეაბილიტაცია, აქედან 148582 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 7819.84 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
 - ✓ 310 474 ლარი სოფ. ლეჟბადინში შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 170 450,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 140 024 ლარი საბიუჯეტო სახსრები.

- ✓ 160 639,4 ლარი –სოფ. მულანლოს შიდა გზების რეაბილიტაცია.აქედან 88 191,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 72 448.40 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 208 470 ლარი სოფ. შაუმთანის გზის (II ეტაპი) „რეაბილიტაციის სამუშაოები, აქედან 208 470 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 171 188.12 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 7000.00 ლარი სოფ. შაუმთანისა და სოფ ხიხანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის საპრ-სახარჯ დომუმენტაცია.
- ✓ 165 733,90 ლარი სოფ. ბაიდარის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ნაწილი.აქედან 91 003,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 74 730,90 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 282 325,01 ლარი სოფ. კაჩაგანის გზის რეაბილიტაცია, აქედან 154 996,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 127 329,01 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 114365,63 ლარი სოფ. ხანჯიგაზლოს გზის რეაბილიტაცია, აქედან 62 787,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 51578,63 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 7906,0 ლარი სოფ. მარეთში კორპუსთან მისასვ. გზის და ეზოს მოასფ.ს სამუშ. და სოფ წითელსოფლის ცენტ გზის სარეაბ. სამუშ. საპრ სარეაბ დოკ.
- ✓ 288 995.84 ლარი სოფ მარეთში კორპუსთან მისასვლელი გზისა და სოფ წითელსოფელში შიდა გზების რეაბილიტაცია.
- ✓ 211 551,21 ლარი სოფ. ალგეთის შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 116 141,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 95 410,21 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 7500,0 ლარი ქ. მარნეულში წმინდა გიორგის ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის საპრ-სახარჯ დოკუმენტ შესყიდვა.
- ✓ 229 364,96 სოფ. თაქალოში შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 117 435 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 111 929.96 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 53 592 ლარი–სათვალთვალო ვიდეო-აუდიო აპარატურის შეძენა.
- ✓ 30 462,15 ლარი სოფ. წერეთელში და საიმერლოში ავტობუსების გაჩერებებზე გადახურული მოსაცდელელების მოწყობა.
- ✓ 359 750,72 ლარი სოფ. თამარისში არსებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აქედან 124 566 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 235 184.72 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 63 663.60 ლარი ქ. მარნეულში წმინდა გიორგის ტაძრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ✓ 147497,76 ლარი სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ზედამხედველობის ხარჯი.

8.2. სარწყავი არხების მოწყობა, რეაბილიტაცია და გაწმენდაზე სულ გახარჯულია 53 985 ლარი. მათ შორის:

- ✓ 4366,0 ლარი სოფ საიმერლოში, კიროვკასა და კასუმლოში არსებული სარწყავი არხების რეაბ. საპრ.სახარჯ. დოკუმენტაციის შესყიდვა
- ✓ 302 390,0 ლარ სოფ. დამია გეურარხში მდინარე დებედას ნაპირსამაგრი სამუშაოები, აქედან 166 042 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 136 348 ლარი საბიუჯეტო სახსრები.

8.3. წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გახარჯულია სულ 2 497 109,06 ლარი, აქედან, შპს „მარნეულის სოფწყალის“ სუბსიდირება შეადგენს 1 214 046,03 ლარს, ხოლო დაფინანსებული სუბიდიიდან შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს მიერ შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 249507 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე – 964027 ლარი, სოციალური დახმარება – 511 ლარი, ხოლო შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს 2018 წლის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 383 152 ლარი, რაც განსაზღვრულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია – 229 949 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით – 111 608 ლარი, სხვა ხარჯი – 15842 ლარი, სოციალური დახმარება – 1956 ლარი, ხოლო დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 23 797 ლარი.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაიხარჯა 1 281 357,28 ლარი, რომელიც გათვალისწინებული იყო სხვადასხვა სოფლებში სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე. მათ შორის:

- ✓ სოფ. აღმამედლოში სასმელი წყლის დარჩენილი სამუშაოების შიდა ქსელის მოწყობის საპრ-სახარჯ დოკუმენტაციის შესყიდვა.
- ✓ 336 872,72 ლარი სოფ. იმირში სასმელი წყლის ჭაბურღილის და სატ. სადგურის მოწყობა, აქედან 181 912,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 480_მთავრობის_განკ._14/03/2017, ხოლო 154 960,72 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 48 915,91 ლარი ელექტრო გადაძვები ხაზების მშენებლობა (მიმდინარე წელს) ს აზიზქენდში არს. სატუმბ სადგ. ელექტ. გად. ხაზების გაყვანა/მონტაჟის სამუშაო.
- ✓ 2507.33 ლარი სოფ. ბურმაში წყალსადენი ქსელის მოწყობა.
- ✓ 47 000,00 ლარი სოფ იმირის მიმდებარე ტერიტ. სასმელი წყლის სატუმბი სადგურის ექსპლოატაციის მიზნით ქსელზე დაერთება.
- ✓ 13 750,0 ლარი ს.ულაშლოში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის საპრ.დოკუმ.მოწყობის სამუშაო.
- ✓ 4000,0 ლარი სოფ.მარადისში და ყუდროში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეზერვუარის საპროექ.-სახარჯთლრ. დოკუმენტაციის მომზადება.
- ✓ 6490,0 ლარი ს.ბაიდარში სასმელი წყლის ნაგებობის მოწყობის და ს.აღგეთში ბაღის ეზოში ჭაბურ.მოწყ.საპრო.დოკუმ.შესყიდვა.
- ✓ 9064,0 ლარი სოფლებში ბეთარაბჩი, აღმამედლო, ცოფი, ახკერპი, დამია წყლის ტუმბოს შეძენა–მონტაჟი.
- ✓ 257 732,0 ლარი სოფ. კირაჩ მუდანლოს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყ სამუშაოები, აქედან 72 887 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 184 845 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 333 123,21 ლარი სოფ. აღმამედლოს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, აქედან 166 354 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 166 769,21 ლარი საბიუჯეტო სახსრები.

- ✓ 23 600 ლარი სოფ. სადახლოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის საპრ-სახარჯო დოკუმენტაციის შესყიდვა.
- ✓ 22 287.8 ლარი სოფ. კირაჩმულანლოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის საპროექტო სახარჯ დოკუმენტაციის შესყიდვა.
- ✓ 44 891,63 ლარი სოფ. თაზაქენდში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და რეზერვუარზე მილსადენის დაერთების სამუშაოები.
- ✓ 78 495,17 ლარი სოფ. ხოჯორნში წყალმომარაგებისა და წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ✓ 45 450,57 ლარი სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ზედამხედველობის ხარჯი.

8.4. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების მუხლით გაწმენდვით სამუშაოებზე გახარჯულია სულ 17 121,80 ლარი.

8.5. მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მოწყობის ორგანიზაციული კოდით გახარჯულია 517,3 ლარი.

8.6. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის მუხლით გაწეულმა ხარჯმა სულ შეადგინა 1070 664,94 ლარი. აქედან გარე განათების მოვლა-შენახვის ხარჯებზე – 934 590,57 ლარი, ხოლო ახალი გარე განათების ქსელის მოწყობაზე – 136 074,37 ლარი, მათ შორის:

- ✓ 4460 ლარი გახარჯულია მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების საპრ. სახარჯ. დოკუმენტაციის შესყიდვაზე.
- ✓ 77944,50 ლარი სოფ. ცოფში, კასუმლოში და იმირში გარე განათების მოწყობა.
- ✓ 1998.9 ლარი ქ. მარნეულის ქუჩებში და დარჩ ჩიხებში გარე განათების მოწყობის საპრ-სახარჯ. დოკუმ. შესყიდვა.
- ✓ 1799.5 ლარი სოფ. ხულდარაში გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპრ-სახარჯ. დოკუმენ. შესყიდვა.
- ✓ 43089.84 ლარი ქ. მარნეულში დარჩენილი ქუჩების და ჩიხების გარე განათების მოწყობის ხარჯი.
- ✓ 6781,63 ლარი გახარჯულია ზემოთ აღნიშნული გარე განათების მონტაჟის ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისთვის.

8.7. მუნიციპალიტეტის დასუფთავებაზე გახარჯულია სულ 1 370 335,62 ლარი, აქედან ა.ა.ი.პ „სუფთა მარნეული“-ს მიერ გახარჯული თანხა შეადგენს 1 259 735,62 ლარს, მათ შორის: თანამდებობრივ სარგოზე– 647 640,43 ლარი, დანამატი – 120 475,50, შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივ სარგოზე –103 056,27 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა დანამატი – 14 912,50 ლარი, მივლინება ქვეყნის შიგნით – 195,0 ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით – 8 495,2 ლარი, 2000,0 ლარი გახარჯულია კომპიუტერის შესაძენად.

შპს „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელმა საწარმომ“ 2018 წლის განმავლობაში მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიიღო 103000 ლარი, წინა წლის ნაშთმა შეადგინა 1982 ლარი, ხოლო საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 25784 ლარი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით, აქედან სუბსიდიის ფარგლებში გაიხარჯა 104 982 ლარი, მათ შორის თანამდებობრივ სარგოზე – 71919 ლარი, ქონების გადასახადზე – 10579 ლარი, საწვავის ხარჯზე –19858 ლარი, ოფისის ხარჯი – 643 ლარი, წინა წლის ვალდებულება – 1982 ლარი, სუბსიდიის ფარგლებში 2019 წლის 1 იანვრის

მდგომარეობით დარჩენილი ნაშთი შეადგენს 0,0 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლების ფარგლებში თანამდებობრივი სარგოზე – გაიხარჯა 6600 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე – 11845 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 6000,0 –ლარი. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 1166 ლარი.

7600 ლარი გახარჯულია მაწანწალა ძაღლების დაჭერის მომსახურებაზე.

8.8 სასაფლაოების და სარიტუალო სახლების მოწყობა და რეაბილიტაციის მუხლით გახარჯულია 76 343,68 ლარი. მათ შორის:

- ✓ 500,0 ლარი სოფ. ბრდაზორში და გიულბახში სასაფლაოების შემოღობვის სამუშაოების საპრ-სახარჯ დოკუმენტ შესყიდვა.
- ✓ 26 208,63 ლარი სოფ. თამარიში არსებული რიტუალების სახლის რეაბილიტაცია.
- ✓ 24 984,75 ე. მარნეულში კოსტავას ქუჩაზე არსებული სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები.
- ✓ 23 208.82 ლარი ს. გიულბახის და ბრდაზორის სასაფლაოების შემოღობვის სამუშაო.
- ✓ 1 441,48 ლარი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ზედამხედველობის ხარჯი.

8.9. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე სულ 2018 წელს გახარჯულია 169031,35 ლარი, აქედან:

8.9.1 სკვერებისა და პარკების გაშენება-რეკონსტრუქციის, ქალაქის გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების მუხლით გახარჯულია 161 842,23 ლარი, მათ შორის:

- ✓ 9 881 ლარი სოფ. წერეთელში არსებული სკვერის ტერიტორიის მოწყობის საპრ-სახარჯ დოკუმენტაცია.
- ✓ 26 802,04 ლარი სოფ. წერეთელში არსებული სკვერის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.
- ✓ 29 500,0 ლარი ე. მარნეულში მონუმენტური ძეგლის -"კიდევაც დაიზრდებიან"-ის და მისი მიმდინარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საპრ-სახარჯ. დოკ. შედგენის მომს.
- ✓ 26 547,79 ლარი სოფ. დიდ მუთანლოში სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ✓ 2 781.9 ლარი სოფ. მარადისში სკვერის მოწყობა.
- ✓ 50 000,0 ლარი მარნეულიც მონუმენტ ძეგლის "კიდევაც დაიზრდებიან" ის რეაბილიტაციის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყ. სამუშაოები, აქედან 20 300 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136_მთავრობის_განკ._18/01/2018, ხოლო 29 700 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 1 474.11 ლარი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ზედამხედველობის ხარჯი.

8.9.2 ქალაქის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების და მილსადენების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადების ორგანიზაციული კოდიდან გადარიცხულია 7 189,12 ლარი, აქედან:

- ✓ 1 600,0 ლარი ე. მარნეულში 26 მაისი ქუჩაზე არსებული კედლის სარებილ. სამუშ. დოკუმენტაციის დასამზადებლად.
- ✓ 5 589,12 ლარი ს.იმირში არქეოლოგიური ძეგლის (გადაჭრილი გორა) შემოღობვის სამუშაოები.

8.10 მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკზე“ გადარიცხული სუბსიდია შეადგენს 613000 ლარს, 26222 ლარი გათვალისწინებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სუბსიდიის ფარგლებში არსებული ნაშთით, ხოლო საკუთარი შემოსავლები 2018 წლის განმავლობაში შესრულდა 490879 ლარით, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა – 9382 ლარი. აქედან სუბსიდიის

ფარგლებში საწვავის შეძენაზე – გაიხარჯა 502439 ლარი, სათადარიგო ნაწილებზე და მიმდინარე რემონტზე – 32804 ლარი, 52068 ლარით დაფარულია წინა წლის ვალდებულება, ხოლო 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 51911 ლარი. რაც შეეხება საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გახარჯულ თანხას: თანდებობრივი სარგოზე გაცემულია – 317192 ლარი, ტრანსპორტის მოვლა–შენახვა საწვავ–საპოხი მასალა და სათადარიგო ნაწილებზე – 123752 ლარი, ოფისის ხარჯზე – 13807 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 5395 ლარი, ვალდებულებების კლების მუხლით–604 ლარი, ხოლო 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 39513 ლარი.

8.11 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სულ გახარჯულია 5487,0 ლარი, ს.საიმერლოს სარიტუალო სახლისთვის მცირეფასიანი ავეჯის მოწოდება, დაფინანსების წყარო სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 265_მთავრობის_განკ._19/02/2016.

9. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 2 605 248,34 ლარი, აქედან:

9.1 სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სუბსიდირებამ შეადგინა 2 072 255,46 ლარი, აქედან თანამდებობრივ სარგოზე – 1 182 507,28 ლარი, პრემიაზე – 104 905,0 ლარი, დანამატი 12 062,50 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით – 12 270,89 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით –754 471,79 ლარი, 500 ლარი მცირე სარემონტო სამუშაოზე და 5 488 ლარი გახარჯული იქნა კომპიუტერების შესაძენად.

9.2 სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით გახარჯულია 459642,88ლარი, მათ შორის;

- ✓ 329 661,41 ლარი გახარჯულია სოფ. საიმერლოში საბავშვო ბაღის მშენებლობაზე.
- ✓ 2 171 ლარი სადახლოსა და სოფ. ალგეთის საბ ბაღების შენობაში კარნიზების მონტაჟი.
- ✓ 44 308.92 ლარი ქ. მარნეულში, N4 საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია.
- ✓ 5 876,40 ლარი სოფ. სადახლოსა და სოფ. ალგეთის საბავშვო ბაღებისთვის მცირეფასიანი ავეჯის შეძენა.
- ✓ 1 963.52 ლარი ს.სადახლოს და ს.ალგეთის საბავშვო ბაღებისათვის ჭურჭლის შეძენა.
- ✓ 31 719,68 ლარი სოფ შაუმიანში საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე დამხმარე შენობის მოწყობის სამუშაოები.
- ✓ 23 245,32 ლარი გაიხარჯა სოფ. სადახლოსა და სოფ ალგეთის საბავშვო ბაღებისათვის ძვირადღირებული ხალიჩების და ქსოვილის ნივთების შეძენაზე.
- ✓ 20 696,63 ლარი სოფ. საიმერლოში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობაზე ზედამხედველობის ხარჯი.

9.3 საჯარო სკოლების დაფინანსების მიზნით გახარჯულია 73 350 ლარი, რომელიც გათვალისწინებულია იმ პედაგოგების დასახმარებლად, რომლებიც არ ცხოვრობენ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ესაჭიროებათ სხვადასხვა ტრანსპორტით გადაადგილება.

10. სპორტულ, კულტურულ და რელიგიურ ღონისძიებებზე გაიხარჯა 2 639 151,92 ლარი. აქედან:

10.1. სპორტულ ღონისძიებაზე გახარჯულია 16325 ლარი. სპორტული სკოლების დაფინანსებაზე კი 2018 წლის განმავლობაში სუბსიდიის სახით გაიხარჯა 997 825,79 ლარი,

აქედან თანამდებობრივი სარგოზე – 492 598,29 ლარი, შტატგარეშე თანამდებობრივი სარგოზე – 16845 ლარი, ქვეყნის შიგნით მივლინებაზე–8 925 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურებაზე – 477 615,2 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით – 1842,3 ლარი.

სპორტული მოედნების რეაბილიტაციაზე გახარჯულია 328 113,57 ლარი. მათ შორის:

- ✓ 50 385.17 ლარი – სოფ. ახკერპში მინი საფეხბურთო მოედნის მშენებლობა.
- ✓ 76 181.22 ლარი –სოფ. ალავარში კომბინირებული მინი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედანის მოწყობა.
- ✓ 31 362,70 ლარი – ქ. მარნეულში ბაქოს და შარიფოვის ქუჩების მიმდებარედ არსებული სტადიონის შემოღობვის სამუშაოები.
- ✓ 14 750 ლარი – ს. თამარისში ძიუდოს სპორტული დარბაზის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.
- ✓ 70 643,93 ლარი –სოფ. თაქალოში კომბინირებული მინი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნის მოწყობა.
- ✓ 68 481.27 ლარი – ს. წერეთლის კომბინირებული სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაო.
- ✓ 14 809,28 ლარი –მშენებლობაზე ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი.

10.2 რაც შეეხება კულტურულ სფეროს ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო, სამუსიკო და სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრი“-ს სუბსიდირებამ შეადგინა 709 083,03 ლარი (709 081,23 ლარი უკან დაბრუნებული 1,80 ლარის გათვალისწინებით), აქედან თანამდებობრივ სარგოზე გაიხარჯა – 506 664,51 ლარი, დანამატზე – 13 035 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით – 2827 ლარი, შტატგარეშე თანამდებობრივ სარგოზე – 1500 ლარი, ქვეყნის შიგნით მივლინებაზე–4 078,80 ლარი, ქვეყნის გარეთ მივლინებაზე–16 869,30 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელზე და მომსახურებაზე – 137 682,62 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით – 26 424 ლარით შეძენილია კომპიუტერი, ფოტოაპარატი, მუსიკალური ინსტრუმენტი და სხვადასხვა ინვენტარი და წიგნები.

კულტურული ღონისძიებებზე გახარჯულია სულ 137026,93 ლარი, აქედან, ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით –26392 ლარი, საახალწლო ღონისძიებასთან დაკავშირებით – 32131 ლარი, 26 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით – 31 881,5 ლარი, 22 800 ლარი დაიხარჯა „ღვინის ფესტივალის“ ორგანიზებაზე, სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნა 3 და 8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, აღდგომა, რამაზან ბაირამი და სხვა კულტურულ-ახალგაზრდული ღონისძიებები რაზეც გახარჯულია 23 698 ლარი.

კულტურული დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გახარჯულია სულ 2557 ლარი, რაც გახარჯულია სოფ. ოფრეთში არსებული კულტურის სახლის გამაგრებითი სამუშაოების საპროექ. სახარჯ დოკუმენტაციის შესყიდვაზე.

10.3 სატელევიზიო მომსახურებაზე გახარჯულია – 71 718,85 ლარი.

10.4 რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2018 წლის განმავლობაში გახარჯულია 372 245,45 ლარი.

11. 2018 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 160 997,26 ლარი, აქედან თანამდებობრივ სარგოზე – 120 733,74 ლარი, დანამატზე – 4500 ლარი, შტატგარეშე თანამდებობრივ სარგოზე – 3500 ლარი, ქვეყნის შიგნით მივლინებაზე – 840 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე – 28 480,52 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდა მუხლით გახარჯული 2943 ლარიდან 2378 ლარით შექმნილი იქნა კომპიუტერი, 565 ლარით საოფისე ავეჯი.
12. სოციალურად დაუცველი მოსახლეობაზე დახმარების მიზნით გაწეულია 1 047 028,7 ლარის ხარჯი, აქედან ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით – 716 642 ლარი, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით – 328 635 ლარი, ხოლო ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 1750 ლარი.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 8 220 702,83 ლარი, აქედან 110 061 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, 30 991,41 ლარი, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის #265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის #34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, 1 395 343 ლარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, 7 622,47 ლარი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი, ხოლო დარჩენილი 6 669 624,48 ლარი შეადგენს ადგილობრივი სახსრებით გათვალისწინებულ ნაშთს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

/ვ. მამედოვი/